საქართველო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29242204**

თარიღი:**07/08/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის I-II კვარტლის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 85-ე მუხლის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 ივლისის N 28-282419260 წერილის შესაბამისად, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის **I-II** კვარტლის შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში დანართის სახით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

ინფორმაცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბრის N30 დადგენილებით 19150.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 2336.5 ათას ლარს და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათას ლარს.

2024 წლის ორი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 8-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 4-ჯერ და საკრებულოს მიერ 4-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 30869.7 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 20026.2 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 19503.6 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის 1 ივლისისათვის ნაშთი დარჩა 522.6 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 351.4 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 171.2 ათასი ლარი.

თავი I. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 20026.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც ორი კვარტლის გეგმის (20000.0 ათასი ლარი) 100,1%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებში (20026.2 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 8905.0 ათას ლარს, ანუ 44,4 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 953.1 ათას ლარს, ანუ 4,7 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 7274.9 ათას ლარს, ანუ 36,3 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 29.5 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2024 წლის ორი კვარტლის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 8905.0 ათასი ლარი (44,4%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 2178.6 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 6726.4 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1126.5 ათასი ლარი. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 6148.4 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 20000.0 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**27 456,0**	**18 342,0**	**9 114,0**	**17 108,0**	**9 833,1**	**7 274,9**	**17 133,0**	**9 858,1**	**7 274,9**
გადასახადები	**16 637,9**	16 637,9	-	**8 883,7**	8 883,7	-	**8 905,0**	8 905,0	-
გრანტები	**9 114,0**	-	9 114,0	**7 274,9**	-	7 274,9	**7 274,9**	-	7 274,9
სხვა შემოსავლები	**1 704,1**	1 704,1	-	**949,4**	949,4	-	**953,1**	953,1	-
II. ხარჯები	**21 710,1**	**19 068,5**	**2 641,6**	**12 216,4**	**10 659,3**	**1 557,1**	**11 967,3**	**10 427,8**	**1 539,5**
შრომის ანაზღაურება	**3 360,0**	3 360,0	-	**1 730,0**	1 730,0	-	**1 704,5**	1 704,5	-
საქონელი და მომსახურება	**4 223,6**	2 425,0	1 798,6	**2 177,2**	1 040,1	1 137,1	**2 140,3**	1 008,0	1 132,3
პროცენტი	**37,0**	37,0	-	**7,0**	7,0	-	**6,4**	6,4	-
სუბსიდიები	**11 428,5**	11 165,5	263,0	**6 879,8**	6 787,6	92,2	**6 758,7**	6 678,9	79,8
გრანტები	30,0	30,0	-	25,0	25,0	-	22,0	22,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	**1 246,0**	1 216,0	30,0	**891,8**	885,0	6,8	**848,0**	841,2	6,8
სხვა ხარჯები	**1 385,0**	835,0	550,0	**505,6**	184,6	321,0	**487,4**	166,8	320,6
III. საოპერაციო სალდო	**5 745,9**	**- 726,5**	**6 472,4**	**4 891,6**	**- 826,2**	**5 717,8**	**5 165,7**	**- 569,7**	**5 735,4**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**8 551,6**	**1 552,0**	**6 999,6**	**7 726,3**	**1 481,3**	**6 245,0**	**7 477,8**	**1 386,4**	**6 091,4**
ზრდა	**9 101,6**	2 102,0	6 999,6	**7 754,6**	1 509,6	6 245,0	**7 507,3**	1 415,9	6 091,4
კლება	**550,0**	550,0		**28,3**	28,3		**29,5**	29,5	
V. მთლიანი სალდო	**- 2 805,7**	**- 2 278,5**	**- 527,2**	**- 2 834,7**	**- 2 307,5**	**- 527,2**	**- 2 312,1**	**- 1 956,1**	**- 356,0**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**- 2 863,7**	**- 2 336,5**	**- 527,2**	**- 2 863,7**	**- 2 336,5**	**- 527,2**	**- 2 341,1**	**- 1 985,1**	**- 356,0**
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-			-			-		
სესხები	-			-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-			-			-		
კლება	**2 863,7**	2 336,5	527,2	**2 863,7**	**2 336,5**	527,2	**2 341,1**	1 985,1	356,0
ვალუტა და დეპოზიტები	**2 863,7**	2 336,5	527,2	2 863,7	2 336,5	527,2	**2 341,1**	1 985,1	356,0
სესხები	-			-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-			-			-		
VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 58,0**	**- 58,0**	-	**- 29,0**	**- 29,0**	-	**- 29,0**	**- 29,0**	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-			-			-		
სხვა	-			-			-		
საგარეო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-			-			-		
სხვა	-			-			-		
კლება	**58,0**	58,0	-	29,0	**29,0**	-	**29,0**	29,0	-
საშინაო	-	-	-	-	-	-	-	-	-
სესხები	-			-			-		
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-			-			-		
საგარეო	**58,0**	58,0	-	29,0	29,0	-	29,0	29,0	-
სესხები	**58,0**	58,0	-	29,0	29,0	-	29,0	29,0	-

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	**28 006,0**	**18 892,0**	**9 114,0**	**17 136,3**	**9 861,4**	**7 274,9**	**17 162,5**	**9 887,6**	**7 274,9**	100,2	100,3	100,0
შემოსავლები	27 456,0	18 342,0	9 114,0	17 108,0	9 833,1	7 274,9	17 133,0	9 858,1	7 274,9	100,1	100,3	100,0
არაფინანსური აქტივების კლება	550,0	550,0	-	28,3	28,3		29,5	29,5		104,2	104,2	0,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-			0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	-			-			-			0,0	0,0	0,0
გადასახდელები	**30 869,7**	**21 228,5**	**9 641,2**	**20 000,0**	**12 197,9**	**7 802,1**	**19 503,6**	**11 872,7**	**7 630,9**	97,5	97,3	97,8
ხარჯები	21 710,1	19 068,5	2 641,6	12 216,4	10 659,3	1 557,1	11 967,3	10 427,8	1 539,5	98,0	97,8	98,9
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 101,6	2 102,0	6 999,6	7 754,6	1 509,6	6 245,0	7 507,3	1 415,9	6 091,4	96,8	93,8	97,5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-			0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	58,0	58,0	-	29,0	29,0	-	29,0	29,0	-	0,0	0,0	0,0
ნაშთის ცვლილება	**- 2 863,7**	**- 2 336,5**	**- 527,2**	**- 2 863,7**	**- 2 336,5**	**- 527,2**	**- 2 341,1**	**- 1 985,1**	**- 356,0**	0,0	0,0	0,0

3. ბიუჯეტის შემოსავლები

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	**27 456,0**	**18 342,0**	**9 114,0**	**17 108,0**	**9 833,1**	**7 274,9**	**17 133,0**	**9 858,1**	**7 274,9**	100,1	100,3	100,0
გადასახადები	16 637,9	16 637,9		8 883,7	8 883,7	-	8 905,0	8 905,0		100,2	100,2	0,0
გრანტები	9 114,0	-	9 114,0	7 274,9	-	7 274,9	7 274,9	-	7 274,9	100,0	#DIV/0!	100,0
სხვა შემოსავლები	1 704,1	1 704,1		949,4	949,4		953,1	953,1		100,4	100,4	0,0

4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
საგადასახადო შემოსავლები	**16 637,9**	**16 637,9**		**8 883,7**	**8 883,7**	-	**8 905,0**	**8 905,0**		100,2	100,2	0,0
საშემოსავლო გადასახადი	1	1										

გადასახადები	**16 637,9**	**16 637,9**	-	**8 883,7**	**8 883,7**	-	**8 905,0**	**8 905,0**	-	100,2	100,2	0,0
საშემოსავლო გადასახადი	-			-	-	-	-	-	-			
დამატებითი ღირებულების გადასახადი	14 037,9	14 037,9		6 708,7	6 708,7	-	6 726,4	6 726,4	-	100,3	100,3	0,0
ქონების გადასახადი	2 600,0	2 600,0		2 175,0	2 175,0	-	2 178,6	2 178,6	-	100,2	100,2	0,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 138,0	2 138,0		2 117,0	2 117,0		2 132,9	2 132,9		100,8	100,8	0,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-			-		-	- 12,9	- 12,9		#DIV/0!	#DIV/0!	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	40,0	40,0		5,5	5,5	-	5,6	5,6		101,8	101,8	0,0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	87,0	87,0		16,0	16,0	-	16,3	16,3		101,9	101,9	0,0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	335,0	335,0		36,5	36,5	-	36,7	36,7		100,5	100,5	0,0

5. ბიუჯეტის გრანტები

/ათას ლარში/

დასახელება	**2024** წლის გეგმა წლიური	**2024** წლის იანვარ-ივნისი გეგმა	**2024** წლის იანვარ-ივნისი	შესრულების პროცენტი
გრანტები	**9 114,0**	**7 274,9**	**7 274,9**	**100,0**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები				
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9 114,0	7 274,9	7 274,9	**100,0**
ფინანსური დახმარება				**#DIV/0!**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 901,8	1 126,5	1 126,5	**100,0**
კაპიტალური ტრანსფერი	7 212,2	6 148,4	6 148,4	**100,0**
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის	6 117,2	5 869,3	5 869,3	**100,0**
სკოლების სარეაბილიტაციო ღონისძიებები				**#DIV/0!**
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	690,0			**#DIV/0!**
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	405,0	279,1	279,1	**100,0**
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	405,0	279,1	279,1	**100,0**

6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

/ათას ლარში/

დასახელება	**2024** წლის გეგმა წლიური	**2024** წლის იანვარ-ივნისი გეგმა	**2024** წლის იანვარ-ივნისი	შესრულების პროცენტი
სხვა შემოსავლები	**1 704,1**	**949,4**	**953,1**	**100,4**
შემოსავლები საკუთრებიდან	550,0	380,5	383,5	**100,8**

რენტა	400,0	238,5	240,0	**100,6**
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	269,1	77,4	77,8	**100,5**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	255,0	72,8	73,2	**100,5**
სანებართვო მოსაკრებელი	25,0	11,8	11,9	**100,8**
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი				**#DIV/0!**
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი				**#DIV/0!**
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	230,0	61,0	61,3	**100,5**
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14,1	4,6	4,6	**100,0**
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	870,0	479,0	479,2	**100,0**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	15,0	12,5	12,6	**100,8**

7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	**21 710,1**	**19 068,5**	**2 641,6**	**12 216,4**	**10 659,3**	**1 557,1**	**11 967,3**	**10 427,8**	**1 539,5**	98,0	97,8	98,9
შრომის ანაზღაურება	3 360,0	3 360,0	-	1 730,0	1 730,0	-	1 704,5	1 704,5	-	98,5	98,5	#DIV/0!
საქონელი და მომსახურება	4 223,6	2 425,0	1 798,6	2 177,2	1 040,1	1 137,1	2 140,3	1 008,0	1 132,3	98,3	96,9	99,6
პროცენტები	37,0	37,0	-	7,0	7,0	-	6,4	6,4	-	91,4	91,4	
სუბსიდიები	11 428,5	11 165,5	263,0	6 879,8	6 787,6	92,2	6 758,7	6 678,9	79,8	98,2	98,4	86,6
გრანტი	30,0	30,0	-	25,0	25,0	-	22,0	22,0	-	88,0	88,0	
სოციალური უზრუნველყოფა	1 246,0	1 216,0	30,0	891,8	885,0	6,8	848,0	841,2	6,8	95,1	95,1	100,0
სხვა ხარჯები	1 385,0	835,0	550,0	505,6	184,6	321,0	487,4	166,8	320,6	96,4	90,4	

8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 7477.8 ათასი ლარით. მათ შორის: არაფინანსური აქტივების ზრდა - 7507.3 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 29.5 ათასი ლარით;

/ათას ლარში/

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის გეგმა წლიური	2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა	2024 წლის იანვარ-ივნისი	შესრულების პროცენტი
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**60,0**	**35,0**	**28,9**	**82,6**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	60,0	35,0	28,9	**82,6**
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**8 467,1**	**7 156,0**	**6 922,9**	**96,7**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5 682,6	5 592,8	5 507,9	**98,5**
02 02	წყლის სისტემების განვითარება	213,4	17,0	16,0	**94,1**
02 03	გარე განათება	20,0	5,0	4,8	**96,0**
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 479,1	1 341,2	1 197,4	**89,3**
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	730,0	-	-	**#DIV/0!**
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და				

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**385,0**	**381,0**	**380,3**	**99,8**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	385,0	381,0	380,3	**99,8**
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა				-
04 00	**განათლება**	**127,5**	**116,0**	**115,4**	**99,5**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	116,0	116,0	115,4	**99,5**
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	10,0	-	-	**#DIV/0!**
04 03	საშუალო სკოლების ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1,5	-	-	**#DIV/0!**
04 04	სკოლისგარეშე განათლება	-	-	-	**#DIV/0!**
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**57,0**	**60,6**	**53,8**	**88,8**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	10,4	14,0	13,9	**99,3**
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	46,6	46,6	39,9	**85,6**
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**5,0**	**6,0**	**6,0**	
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	5,0	6,0	6,0	
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	**9 101,6**	**7 754,6**	**7 507,3**	**96,8**

/ათას ლარში/

დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური	2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა	2024 წლის იანვარ-ივნისი	შესრულების პროცენტი
არაფინანსური აქტივების კლება	**550,0**	**28,3**	**29,5**	**104,2**
ძირითადი აქტივები	250,0	-	**1,0**	**#DIV/0!**
არაწარმოებული აქტივები	300,0	28,3	**28,5**	**100,7**
მიწა	300,0	28,3	**28,5**	**100,7**

9. შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციით შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

/ათას ლარში/

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური	2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა	2024 წლის იანვარ-ივნისი	შესრულების პროცენტი
7.1	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**5 096,0**	**2 497,4**	**2 422,3**	**97,0**
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5 001,0	2 461,4	2 386,9	**97,0**
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 890,0	2 461,4	2 386,9	**97,0**
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	111,0	-	-	**#DIV/0!**
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	95,0	36,0	35,4	**98,3**
7.2	**თავდაცვა**	-	-	-	**#DIV/0!**
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	-	-	-	**#DIV/0!**
7.4	**ეკონომიკური საქმიანობა**	**5 982,6**	**5 679,8**	**5 594,1**	**98,5**
7.4 5	ტრანსპორტი	5 982,6	5 679,8	5 594,1	**98,5**
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 982,6	5 679,8	5 594,1	**98,5**

7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	3 660,0	2 406,0	2 397,3	**99,6**
7.6	**საბინაო კომუნალური მეურნეობა**	**4 337,3**	**2 444,2**	**2 289,4**	**93,7**
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 223,9	1 829,9	1 681,9	**91,9**
7.6 3	წყალმომარაგება	503,4	151,0	147,7	**97,8**
7.6 4	გარე განათება	470,0	251,3	251,0	**99,9**
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 140,0	212,0	208,8	**98,5**
7.7	**ჯანმრთელობის დაცვა**	**269,0**	**98,2**	**85,8**	**87,4**
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	268,0	98,2	85,8	**87,4**
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,0	-	-	**#DIV/0!**
7.8	**დასვენება, კულტურა და რელიგია**	**2 590,0**	**1 486,6**	**1 418,5**	**95,4**
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	940,0	565,2	532,6	**94,2**
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 445,0	791,4	759,4	**96,0**
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	75,0	40,0	37,5	**93,8**
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	130,0	90,0	89,0	**98,9**
7.9	**განათლება**	**7 158,8**	**4 456,0**	**4 408,3**	**98,9**
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	5 175,0	3 256,0	3 223,1	**99,0**
7.9 2	ზოგადი განათლება	1 983,8	1 200,0	1 185,2	**98,8**
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	1 983,8	1 200,0	1 185,2	**98,8**
7 10	**სოციალური დაცვა**	**1 776,0**	**931,8**	**887,9**	**95,3**
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 776,0	931,8	887,9	**95,3**
	სულ	**30 869,7**	**20 000,0**	**19 503,6**	**97,5**

10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 5165.7 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -2312.1 ათასი ლარით;

/ათას ლარში/

დასახელება	**2024** წლის გეგმა წლიური	**2024** წლის იანვარ-ივნისი გეგმა	**2024** წლის იანვარ-ივნისი
საოპერაციო სალდო	5 745,9	4 891,6	5 165,7
მთლიანი სალდო	- 2 805,7	- 2 834,7	- 2 312,1

11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -2341.1 ათასი ლარით:

/ათას ლარში/

დასახელება	**2024** წლის გეგმა წლიური	**2024** წლის იანვარ-ივნისი გეგმა	**2024** წლის იანვარ-ივნისი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 2 863,7	- 2 863,7	- 2 341,1

ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	2 863,7	2 863,7	2 341,1
ვალუტა და დეპოზიტი	2 863,7	2 863,7	2 341,1

ფინანსური აქტივების კლება 522.6 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს 2024 წლის პირველი ივლისისათვის მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება მიმდინარე წლის განმავლობაში. ადგილობრივი შემოსავლებია 351.4 ათასი ლარი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 171.2 ათასი ლარი.

კრედიტორული დავალიანება 19.1 ათას ლარს, ხოლო დებიტორული დავალიანება - 88.8 ათას ლარს შეადგენს. ასევე, გრძელვადიანი ვალდებულება არის - 2.5 ათასი ლარი.

12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა - 58.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2016 წელს მიღებული სესხის დაფარვას. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 145.0 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნება - 87.0 ათასი ლარი.

თავი II. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

13. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა: მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები. მათ შორის: თანამდებობრივი სარგო და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, აგრეთვე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

/ათას ლარში/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 096,0	5 096,0	-	2 497,4	2 497,4	-	2 422,3	2 422,3	-	97,0	97,0	#DIV/0!
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 860,0	4 860,0	-	2 456,4	2 456,4	-	2 383,2	2 383,2	-	97,0	97,0	#DIV/0!

01 01 02	თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია	3 800,0	3 800,0	-	1 920,4	1 920,4	-	1 856,3	1 856,3	-	96,7	96,7	#DIV/0!
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	236,0	236,0	-	41,0	41,0	-	39,1	39,1	-	95,4	95,4	#DIV/0!
01 02 01	სარეზერვო ფონდი	110,0	110,0	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	1,0	1,0	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	95,0	95,0	-	36,0	36,0	-	35,4	35,4	-	98,3	98,3	#DIV/0!
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	20,0	20,0	-	5,0	5,0	-	3,7	3,7	-	74,0	74,0	#DIV/0!
01 02 05	გენდერული თანასწორონის ხელშეწყობა	10,0	10,0	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!

2024 წლის ორი კვარტლის განმავლობაში აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 526.9 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1856.3 ათასი ლარი. 2. საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 122.6 ათასი ლარით: სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 83.5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა დაფინანსებულია 35.4 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი დაფინანსებულია 3.7 ათასი ლარით.

14. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების დაფინანსება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 7883.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

/ათას ლარში/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 319,9	2 740,5	7 579,4	8 124,0	1 566,9	6 557,1	7 883,5	1 482,7	6 400,8	97,0	94,6	97,6
02 01	გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და	5 982,6	860,0	5 122,6	5 679,8	547,0	5 132,8	5 594,1	471,5	5 122,6	98,5	86,2	99,8

02 02	წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	503,4	340,0	163,4	151,0	151,0	-	147,7	147,7	-	97,8	97,8	#DIV/0!
02 03	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლოტაცია	470,0	470,0	-	251,3	251,3	-	251,0	251,0	-	99,9	99,9	#DIV/0!
02 04	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 223,9	620,5	1 603,4	1 829,9	405,6	1 424,3	1 681,9	403,7	1 278,2	91,9	99,5	89,7
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	780,0	90,0	690,0	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	360,0	360,0	-	212,0	212,0	-	208,8	208,8	-	98,5	98,5	#DIV/0!

1.ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

1.1 გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა - შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოტაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობდა. სამუშაოები მოიცავდა ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც მიმდინარე პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა სამუშაოების შესრულების აუცილებლობა.

მიმდინარე წელს ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება შემდეგი პროექტები: სოფ. ჭალასთავთან დამაკავშირებლი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 191.7 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 191.7 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში ვაჟა-ფშაველას მე-6 შესახვევში არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 99.1 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 99.1 ათასი ლარი. სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მოწყობაზე გამოყოფილია 291.9 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 291.9 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილი გზის და საყრდენი კედლების მოწყობა / რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 300.0 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 300.0 ათასი ლარი. სოფ. გოდოგანში ხორხის უბანში გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 400.0 ათასი ლარიდა მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 400.0 ათასი ლარი. სოფ. ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 300.0 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში

ათვისებულია 298.0 ათასი ლარი. სოფ. ჩხარში სკოლასთან დამაკავშირელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 332.7 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 332.7 ათასი ლარი. სოფ. ბარდუბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 298.4 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 298.4 ათასი ლარი. სოფ. ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილიაზე გამოყოფილია 296.7 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 296.7 ათასი ლარი. სოფ. კვახჭირი-ოდილაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 300.0 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 300.0 ათასი ლარი. სოფ. გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 299.7 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 299.7 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 246.8 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 246.7 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 298.4 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 298.4 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 298.4 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 298.4 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში ჯაბიძის მეორე შესახვევში გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 239.6 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 239.6 ათასი ლარი. სოფ. საზანოში ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 328.7 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 328.7 ათასი ლარი. და სოფ. 26 მაისი-საზანოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 302.4 ათასი ლარი და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 302.4 ათასი ლარი.

შედეგი: მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის შეიქმნა უსაფრთხო გარემო. მგზავრთა გადაადგილების დრო შემცირდა.

1.2 წყლის სისტემის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

წყლის განვითარების პროგრამა ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემის როგორც სრულ, ისე-ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდა უწყვეტ რეჟიმში, რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იყო დროულად.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება სოფ. ძევრში კალატოზები-ვერულაშვილების უბანში წყლის სისტემის მოწყობა 163.4 ათასი ლარით.

შედეგი: წყლის სისტემის მშენებლობა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა დროულად.

1.3 გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს

ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება მოხმარდა გარე განათების ქსელის განვითარებას და ექსპლოტაციის საჭირო ხარჯებს.

შედეგი: გარე განათების სისტემა ფუნფციონირებდა გამართულად.

1.4 კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სკვერების მოწყობა, საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნა აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სარემონტო სამუშაოები 169.9 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 169.9 ათასი ლარი და ქ.თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია 295.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 210.9 ათასი ლარი.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1840 განკარგულებით დაფინანსდება ავარიული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი 137.7 ათასი ლარით (თერჯოლაში ყოფილი კინოთეატრის დემონტაჟი) მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 137.7 ათასი ლარი.

2021-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსება, ტურისტებისათვის ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში სოფელ ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 94.1 ათასი ლარით და მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 94.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 970.0 ათასი ლარი, რომლიდანაც მიმდინარე წელს დაიხარჯება 294.5 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 281.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტს გამოეყო დაფინანსება 405.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 175.5 ათასი ლარი.

შედეგი: კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა.
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა–ნაგებობების გაუმჯობესება.

1.5 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები, წყაროების მოპირკეთება, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები, გზისპირა მოსაცდელები, ცხაურები, ხიდები, ხიდბოგირები, გადასასვლელები, გარე განათება, სკოლების მიმდებარე ტერიტორიების

სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით, წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის განკარგულებით გამოყოფილია 690.0 ათასი ლარი.

შედეგი: რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა სოფლად.

1.6 საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

საამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა და პროგრამის ფარგლებში, ასევე დაფინანსდა 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა, მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.

შედეგი: შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

მუხლი 15. დასუფთავება და გარემოს დაცვა

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 01)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 2397,3 ათასი ლარით. გეგმა შესრულებულია 99,6 პროცენტით.

/ათას ლარში/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3 660,0	3 500,0	160,0	2 406,0	2 246,0	160,0	2 397,3	2 237,3	160,0	99,6	99,6	100,0
03 01	დასუფთავება და კეთილმოწყობა	3 660,0	3 500,0	160,0	2 406,0	2 246,0	160,0	2 397,3	2 237,3	160,0	99,6	99,6	100,0

2.1 დასუფთავება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქუჩების, მოედნების, სკვერების, შენობების, საზოგადოებრივი ადგილების დაგვა- დასუფთავება, საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების შეგროვება, გაუნებელყოფა -განთავსების ადგილზე ტრანსპორტირება. ქუჩების, სკვერების, პარკების მოვლა- პატრონობა და გამწვანება, გარე განათების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და რეგულირება. სანიაღვრე არხების მოწყობა და სრულფასოვნად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა- ნაგებობების მიმდებარე ტერიტორიის, ტროტუარების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის

მომარაგების /ტექნიკური წყალი/ სისტემის შეკეთებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება-მშენებლობა, ზამთრის სეზონზე ქუჩების და ტროტუარების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისისს N746 განკარგულებით გამოყოფილია დაფინანსება 160.0 ათასი ლარი და გახარჯულია 160.0 ათასი ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა ტრაქტორი.

შედეგი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სუფთა მოწესრიგებული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული, დასუფთავებული ტერიტორია, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, გარე განათების გამართული ქსელი.

მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 4408.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

/ათას ლარში/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა წლიური			2024 წლის იანვარ-ივნისი გეგმა			2024 წლის იანვარ-ივნისი			შესრულების პროცენტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
04 00	განათლება	7 158,8	5 555,0	1 603,8	4 456,0	3 476,0	980,0	4 408,3	3 430,8	977,5	98,9	98,7	99,7
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5 165,0	5 165,0	-	3 256,0	3 256,0	-	3 223,1	3 223,1	-	99,0	99,0	#DIV/0!
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა	165,0	165,0	-	90,0	90,0	-	84,9	84,9	-	94,3	94,3	#DIV/0!
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	5 000,0	5 000,0	-	3 166,0	3 166,0	-	3 138,2	3 138,2	-	99,1	99,1	#DIV/0!
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	10,0	10,0	-	-	-	-	-	-	-	#DIV/0!	#DIV/0!	#DIV/0!
04 03	საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	1 603,8	-	1 603,8	980,0	-	980,0	977,5	-	977,5	99,7	#DIV/0!	99,7
04 04	სკოლისგარეშე განათლება	380,0	380,0	-	220,0	220,0	-	207,7	207,7	-	94,4	94,4	#DIV/0!

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება **(პროგრამული კოდი 04 01 01)**

ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურმა ცენტრ"-მა უზრუნველყო სააღმზრდელო დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება.

3.2. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები **(პროგრამული კოდი 04 01 02)**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 26 საბავშვო ბაღში სწავლობს 950 ბავშვი. აქედან, გოგო - 455 და ბიჭი - 495.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი პროგრამების და სწავლების მეთოდების შესწავლა. მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო,შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწყობა. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება.

შედეგი: სკოლამდელი აღზრდის ბავშვების სკოლისათვის მზაობა.

3.3 სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში ახალი ბაღის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

შედეგი: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

3.4. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 04 03)

